დანართი 1

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

2020 წლის 15 ივლისის N 45 „ო“ ბრძანებით

პროფესიული სტუდენტის აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმი

შეტანილია სათაურში ცვლილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ. 03 თებერვლის N 16 „ო“ ბრძანებით

1. პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან კონსულტაციას გადიან სასწავლო პროცესის და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან.
2. განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე,პროფესიული სტუდენტის კონსულტირებას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების მიზნით, ახდენს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი (კონფიდენციალურობის დაცვით).

2.1 სასწავლო პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით,სტუდენტის მხრიდან შემოსული მომართვის შემთხვევაში, მასწავლებელი , დამატებითი კონსულტირების მიზნით, ადგენს კონსულტირების ჩატარების გრაფიკს, ვადების და კონსულტირების ფორმის მითითებით და აცნობს მას პროფესიულ სტუდენტს.

შეტანილია ცვლილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ. 03 თებერვლის N 16 „ო“ ბრძანებით

3. კოლეჯის ადმინისტრაცია დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტს აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების მიზნით (შედეგის განმეორებით დადასტურების საჭიროების შემთხვევაში).
4. აკადემიური მიღწევის გაუმჯოსების მიზნით გაწეული კონსულტაციები ფიქსირდება ხელმოწერით შესაბამის ჟურნალში.